


საქართველო

სურათებიანი ლამაზი

გაზეთის № 91

ლამაზების № 17

პვირა, 24 აპრილი, 1916 წ.



ვასო აბაშიძე — ქანდაკება მ. ჭაურელით.

ნიკო დადიანის ლექსი

მამის ანდერძი.

ყოველგან სცნობდე „დროს“ და „მხარესა“;
შორით-გან სჭვრეტდე ნათელ არესა;
ნისლს, კვამლს ირეკდე შენსა გარესა;
„ალაგს“ შენოდე, „დროს“ ეგუვოდე,
არჩევდე კარგად „მტერს“, „მოყვარესა“...
და წინ საწადელ აკვანთ დამდგმელი,
წმინდათ იცავდე „დიდთ“ სამარესა!..

ნაფხვეტი

... შენ მწუხარება ჩემი გახარებს,
მეც სიხარული შენი მაკვნესებს:
შენი ტკივილი ჩემს ტკივლს ოცნებას
აფერადოვნებს და უალერსებს!..
როგორ მოვთავსდეთ მამ ერთ ჭერ-ქვეშა,
რომ დაგვენათოდეს მშობლიური ცა.
შენს ბოროტ ზრახვათ დაჰგმობს, გაჰკიცხავს
კანონი ქვეყნის და ციურიცა!..
მაინც რომ კიდევ თავს დამტრიალებ,
რა სიტკბო ჰპოვე ჩემს სიძულვილში,
რომ საშინელი ეგ სახე შენი
სულ მელანდება ცხადად თუ ძილში?!
და დღეს დღეობით რომ აღარა სჭრის,
აღარ გამიდის ცოდვა და ბრალი,
მაინც კულავ შემრჩა შენთვის ნობათად
უფრო ძლიერი და მკვეთრი ხმალი! —
მას ზიზღი ქვია! შენისთანების
სამასპინძლოთა მაქვს შენახული!
დეე იმაზე, ვითა სამსჯეალზე,
ზედ წამოეგოს ეგ შენი გული!..
შევენატრი, ვისაც მძლე სიყვარული
დაუფლებია, ვითა მთიები,
და ვაი მონას, ვის გულშიც ჩაკვდა
სული ამაყი, შურის მძიები!..

დ. თომაშვილი.

სულის ყვავილი


ვარდის ღეროზე თამაშობს ქარი,
სიცოცხლის ეშხით ათრთოლებული,
ცეკვავს კოკორი ნაზი, ნარნარი,
სხივების კოცნით აწითლებული,
და ვით ფიქრები ოცნების ფრთებზე,
შორეულ ტრფობით მოვლინებული
კანკალებს ნამი მწვანე ფოთლებზე
მარგალიტებად დაკიდებული.

ცრემლ-დანამული, სულ-განაბული,
უსტვენს, უგალობს, ბულბული მარად,
მას არ აშინებს ტანჯვა და წყლული,
ოლონდ კოკორი ყვაოდეს ბარად.
ხან შეტოკდება აღტაცებული
ხან სიმღერაში ჩათვლიმავს ძილად,
ბედნიერია შეყვარებული,
რომ მუდამ სატრფოს უდგია გზირად! .


მეცა მყავს სატრფო სულის ყვავილი,
გაზაფხულივით აკოკრებული,
ვით იგი ვარდი სავესე, გაშლილი, —
მაგრამ ტანჯვაში დაკინებული.
ეს არის ჩემი ტურფა მამული
დაჯაბნებული, დამცირებული,
და ვით ბულბული აცრემლებული
მე მას უმღერი შეყვარებული...

მე მას უმღერი... თუმც ეს სიმღერა,
ხან, და ხან კიდევ მიჯდება ძვირად,
მაგრამ ვერ მაკრთობს შავ-ბედის წერა,
ჩემს გულს სატრფოს ვუდგვივარ გზირად!..

დარია ახვლედიანისა.



პრივატ-დოცენტი მოსკოვის უნივერსიტეტისა
დოქტორი მედიცინისა **გ. გ. ლაშარაშვილი**
(იხ. დღევანდელი გაზეთი)



მომღერალი **მ. კუმბურიძე**.



პირველ კავკასიის დივიზიის ექიმი
ალექსი მესხიშვილი და მისი ასული
კბილის ექიმი **თამარა** — პოზიციებზე.

სამშობლო არ გაქვს...

სამშობლო არ გაქვს და გიხარის კიდევ, ბედკრულო?
მაგრამ მითხარი, აბა რა გაქვს სასიხარულო?
განა სადმეა უსამშობლოდ აღამიანი,
აქვს მის სიცოცხლეს ქვეყანაზე რამე მიზანი?..

ახალგაზდა ხარ, ვნებით სავსე; ეტრფი, გეტრფიან;
გაოცებულნი შენის ნიჭით, თავს გველებიან,
მაგრამ არ იცი, სიჭაბუკე მალე დასჭკნება,
ბრბოც, ცვალებადი, დიდხანს არვის ეთაყვანება?..

მაშინ რას იზამ, რით დაიტკობ მწარე ცხოვრებას,
რომ გაგრძობინებს სიამესა და ნეტარებას? —
განვლილი ჟამი, უსარგებლოდ გატარებული,
უშინარსო, უნაყოფო, აზრს მოკლებული?..

სამშობლო არ გაქვს და გიხარის კიდევ, ბედკრულო?
მაგრამ მითხარი, აბა რა გაქვს სასიხარულო
ყვავილსა, მშობელ სირ-ფესვების არ მქონებელსა,
უსაქმურთ გულის მხოლოდ წუთით მაამებელსა?..

ხელიდან ხელში გადადიხარ; გამკობ-გეტრფიან;
წამის მშვენიებით მოხიზლულნი, თავს გველებიან,
მაგრამ არ იცი, ხანმოკლეა ეს ყოფნა ტკბილი,
და ხვალ ნაგავში შეერევი, დღეს კერპად ქმნილი?..

ჟაი, სამშობლოვ, თვით უბრალო სულ ფოთოლიცა,
მშობელ ხის შტოზე რომ დაჰნათის მშობლიური ცა,
არ ანაცვლებდა თვის სიცოცხლეს, ჩუმ-უჩინარსა,
შენს ამ გვარ ყოფნას, ზეიმით და ზარით მდინარსა,
რადგან იცოცხლებს მშობელ ხეში იგი მკვდარიცა,
შენ-კი მკვდარი ხარ, უკვე მკვდარი, თვით ცოცხალიცა!..

სამშობლო არ გაქვს და გიხარის კიდევ, ბედკრულო?
მაგრამ მითხარი, აბა რა გაქვს სასიხარულო?..

ღუბუ მეგრელი.

**

ჩემს თვალთა წინ, მარად ჟამს სდგე-
ხარ განუშორებლად, ვით ღვთაებრივი
ქანდაკი!..

ინდოეთის, ზღაპრულ მხარეს დაი-
ბადე, თუ სით მოსულხარ?!

შენს ბაგეთაგან ელვა გამოკრთა;
ლიმილი იყო უკვდავების მშვენიებით
სავსე!..

სადაფის კბილებმა, შუქი მოჰფინეს
ბნელს არეს, ოქროს ღიმილით გაა-
ცისკროვნეს!..

ალისფერმა ვარდმა, წალკოტს გა-
შლილმა, რა იხილა მშვენიება შენი,
შეკრთა, ფერი ეცვალა.

ვარდის ფურცლები მყისვე დასჭკნა,
ძირს ჩამოცვივდა, ხოლო მომაკვდავმა
თვალი მოგავლო რომ კვლავ ენახა
შენი მშვენიება, აღმოსავლეთის ვარ-
სკვლავო!..

დილის რიყრაყზე, ავრორა, იჩქარის,
ცის სივრცეს მალე გადახსნას შავი
მანდილი, რომ ზღვის გრილ ტალღებში
განბანილმა მნათობმა ამოსვლისას,
შენ სრულქმნილს, ნათელი გფინოს!..

შემოხედვა შენი, ვარსკვლავთ ცი-
ლია, და მარჯნის ბაგეთა გაპობა მთის
ყვავილის ღიმილსა ჰგავს!.. შენ სიცო-
ცხლის გაზაფხული ხარ!..

ზე ატყორცნილი, ნაზი ხარ და
ნელ-სურნელებას აღაქმევ!..

შემოქმედების ხელით ნაკვეთი, სხივ-
მოელვარე მარმარილო ხარ, და ბუ-
ნებას, თვისი სრულქმნა, შენს განსა-
ხიერებაში დაუმთავრებია!..

ფრინველნი ნაზად გიგალობენ სი-
ყვარულის ზღაპარს და დაჰხარიან
შენს კდემამოსილებას!

გული ჩემი ზღვაა სიყვარულისა და
შიგ მარადისობის ცეცხლი ღვივის
შენს სადიდებლად!



ჯარში გაწვევა — ნახატი მ. ჭიაურელისა.

„სახელოანი“

(მცირედი რამ ამბავი)

I

ასე იცნობდა თავის თავს აპალონ გვარაძე. ასევე სცნობდნენ მას მეზობლებიც და შორეულნიც, სადამდისაც კი ხმა მიუწვდებოდა. „ისე მოგაქვს თავი, თითქოს აპალონსავით მკერდი ჯვარ-მენდლებითა გქონდეს სახეო“ — ისმოდა არა იშვიათად მის პატივისმცემელთა შორის.

— ჯვარ-მენდლებმა და პრაპუნჩიკის ჩინმა გამხადა სახელოანი, რომ რა კაცი ვიქნებოდი მე უამათოდ — ადასტურებდა ხშირად თავის ღირსებას თვით აპალონიც.

მართლაც და თუ ჯვარ-მენდლები და „პრაპუნჩიკის“ აპელატები (პაგონები) არ ესხა ზედ, ეს კი მოჰხდებოდა ხოლმე მარტოდ-მარტო ძილის დროს, აპალონი თავისთავად მაგდენს არაფერს წარმოადგენდა, — კატასაც კი ვერ დააფრთხობდა თვისი შეხედულებითა და წარმოსადგობით. მაგრამ როცა აისხავდა ჯვარ-მენდლებს აპელატებიან ჩოხაზედ, ჩამოიკიდებდა ზედ შავერცხლილ ხმალს, დააბჯენდა მარჯვენა ხელს შავერცხლისავე ხანჯლის ტარს, ხოლო მარცხენას — ხანჯლის ბოლოს და ასე გამოვიდოდა სახლიდან მედიდურად და ამაყად, მაშინ მას აფრიკის ქალებიდან გამოვარდნილი ლომიც ვერ გაუბედავდა წინ გადასდგომოდა.

— აპალონი მობრძანდება! — საქმარისი იყო ამისი ვაგონება, რომ თუნდა არ დაენახა იგი გამგონს, ფეხზედ წამოიშვებოდა, რათა შორიდგანვე მიეცა მისთვის სალაპი.

* *

სად იქნებოდა ისეთი ან ლხინი ან ჭირი, რომ აპალონი სასურველი, სანატრელი და საპატიო სტუმარი არა ყოფილიყო. ლხინი ლხინად არ ითვლებოდა და ჭირიც უფრო საგრძნობელი ხდებოდა იქ, სადაც აპალონი რაიმე მიზეზით არ დაესწრებოდა.

იგი ყოველთვის და ყოველგან ითვლებოდა სუფრის დამამუშვენებლად, სუფრის ლაზათად. სუფრაზედ ყველა მსხდომთა მხედველობაც, სმენაც, გულსყურიც და პატივიც მხოლოდ მისკენ იყო მიქცეული და მისგან შეპყრობილი და იგიც ატებობდა დამსწრეთა სმენას მომხიბლავი საუბრებით.

— ყველაზედ ძვირფასი კაცისთვის სახელიაო, ეტყოდათ ხოლმე აპალონი სმენად გადაქცეულ დამსწრეთ, — თუ კაცი სახელოანი არ არის, სულ ფუჭია მისი ყოფნა და ცხოვრება ქვეყანაზედო. და აქ მოუყვებოდათ მოთხრობას მაზედ, თუ რომელი მენდალი და ჯვარი სად და რა საგმირო საქმის ჩადენისათვის მიეღო.

როგორც ამტკიცებდა იგი, თითო მენდალი დასჯდომოდა მას არა ნაკლებ ხუთი მტრის მოკვლისა თვისი ხმლითა და საკუთარის ხელით ოსმალებთან ომის დროს; წმ. გიორგის ჯვარი მიეღო მისთვის, რომ იგი გადაცემული გარეულიყო ოსმალთა ჯაოში და დაეხვერა მტრის მომზადება და მოქმედება; „პრაპუნჩიკობა“ — მისთვის, რომ მტრის სამ სოფელს მიპარვით ცეცხლი წაუკიდა და გადაბუგა; სისხლის ჯვარი მისთვის, რომ იგი წინ უძღვოდა რუსის ჯარს აჭარა-ქობულეთში და გზას უჩვენებდა, როგორც ნავალი წინად ამ მხარეში.



ღ ე ლ ა

II

ჯვარ-მენდლების გარდა ნაოხრად დარჩენილი მამულიც ეჩუქა აპალონს ახლად დაპყრობილ ადგილებში, მაგრამ ამას არც ახსენებდა როდისმე და არც ყურადღებას აქცევდა.

— მე უკვე კაცობა და სახელი ვიშოვნე და მამული რაღა საჭიროა ჩემთვისო, უპასუხებდა იგი ყოველს, ვინც კი ჰკითხავდა მამულის შესახებ, — ყველაფერი ამო და წამავალია კაციისთვის გარდა სახელისა: მხოლოდ სახელისათვის უნდა იღწვოდეს და ზრუნავდეს კაცი მთელ თვისს სიცოცხლეში, რადგანაც მარტო იგია საბოლოო და საუკუნო; ყველაფერი წავაწამოვა და სახელი კი შერჩება კაცსაო.

აკი სთვლიდა კიდევ აპალონი თავის თავს უბედნიერესად, რომ „სახელოანი“ იყო იგი და თაყვანსაც სცემდა თვის გამაბედნიერებელ ჯილდოთ. ყოველი შაბათი დღე სადღესასწაულოდღეთ გარდაიქცეოდა ხოლმე აპალონისათვის. საღმრთო მოქმედებას ემგზავებოდა მის მიერ მოწიწებით გაწმენდ-გასუფთავება ჯვარ-მენდლებისა და მათი ლენტებისა. საქმარისი იყო რომელიმე მენდლის ანუ ჯვრის ლენტს ან ლაქი დასტუბოდა ან აცირცილიყო სადმე, რომ მაშინვე შეაცვალა იგი ახალი ლენტით. უქმელ-უსმელობას იჩივებდა, ცოლშვილსაც მოათმენინებდა ამას, ხოლო ლენტს კი უთუოდ

იყიდა, როცა ეს საჭირო იყო, საკმელ - სასმელისათვის გადაღებული ფულით, რათა ჯვარ-მენდლებისათვის ნირი არ შეეშალა.

* *

ტყუილ უბრალოდ შეიწუხებდა ვინმე თავს მისულიყო აპალონთან რაიმე საჩქარო ანუ საჭირო საქმისათვის, როცა იგი ჯვარ-მენდლებს ასუფთავებდა. ამ დროს მას ქვეყნიერობისა არც არაფერი ესმოდა და არც აგონდებოდა და ვერაფერს ჰხედავდა, გარდა ჯვარ-მენდლებისა. მხოლოდ ჯვარ-მენდლებს დასტრიალებდნენ მისი მხედველობაც, სმენაც და გონებაც. ეს ზნე აპალონისა ყველამ კარგად იცოდა და არც არავინ ჰხედავდა გამოყვანა იგი უდროვოდ თვისი ალგზნებული მდგომარეობიდან.

ერთად ერთი „პაწაწა აფრასიონი“ იყო რომ არა ჰშორდებოდა ამ დროს გვერდიდან მამას, მაგრამ გრძობდა ეს უკანასკნელი შვილის მახლობლად ყოფნას თუ ვერა — ამისი თქმა ძრიელ ძნელია. მხოლოდ არც ის არის ადვილი თვალი ავარიდოთ და გვერდი ავუქციოთ მას, თუ რა ნიქს ანვითარებდა შვილში მამა თვისი მოქმედებით. როცა აპალონი გასუფთავების დროს ეალერსებოდა და ეთაყვანებოდა ჯვარ-მენდლებს, „პაწაწა აფრასიონი“ ისეთის მოწიწებით და ცნობის მოყვარეობით ადევნებდა თვალ-ყურს

ყოველ ამას, რომ აშკარად იხატებოდა მისი თანხმობა და თანაგრძნობა მამის მოქმედებისადმი. ეს გარემოება კი უტყუარი ნიშანი იყო მისი, რომ „პაწაწა აფრასიონის“ ძარღვებშიც (ალბად შთამომავლობის წესით) უკვე სჩქედდა სისხლი „სახელიანობის“ სურვილით გაჟღენთილი. ერთხელ ასეთ საუბარსაც კი მოჰკრეს თურმე ყური აპალონსა და მის მეუღლის შორის:

— ვენაცვალე, ჩვენი პაწაწა აფრასიონი მამასავით სახელოანი იქნება. წუხელის, უთუოდ ეგონა, რომ ჩვენ გვძინავს, წამოდგა ქვეშაგებიდან, მიიპარა ჩუმად შენ ჯვარ-მენდლებთან და სათითაოდ გადაკოცნა ყველა. ეს უთუოდ წინათაც ჩაუდენია მას.

— რატომაც არ უნდა იყოს იგი სახელოანი! პაპა ჰყვანდა სახელოანი და მამა უკეთესი. მე თუ დღეს პრაპუნჩიკი ვარ და ჯვარ-მენდლები მაქვს, იგი ლენერალი უნდა იყოს და გული ვარსკვლავებით ჰქონდეს სახე. ასეა წესი და კანული.

III

იმეორებდა ჩუმ-ჩუმად „პაწაწა აფრასიონი“ მამის ჯვარ-მენდლებისადმი თაყვანისცემას ან შენიშნა კიდევ როდისმე დედამ, თუ არა, აღარავის გაუგონია. მაგრამ უამისოდაც აწმენდნენ მშობელნიც და გარეშენიც, რომ, რაც დრო გადიოდა, მით უმეტეს ძლიერ

დებოდა მის გულში ტრფილები ალი „სახელოანობისადმი“.

ვიღრე აფრასიონი „პაწაწა“ იყო, მის ტრფილებს „სახელოანობისადმი“ ასაზრდოვებდა მამისავე „სახელოანობა“. რა მედიდურად და ამაყად იკვებოდა იგი თავის სწორ ამხანაგებში, რომ ქვეყანაზედ ცნობილი და „სახელოანი“ აპალონ გვარაძე მისი მშობელი მამა იყო! ხოლო როცა დავაჯაკდა აფრასიონი, მოულოდნელი და საოცარი ცვლილება მოჰხდა მასში. ჯილდოებმა დაჰკარგეს მის თვალში წინანდელი მნიშვნელობა და მამის თვით „სახელოანობაშია“ შეაპარა მას ეჭვი.

პირველად ეჭვი თანდათანობითა და ყრუდ ვითარდებოდა და თითქოს გრძობათა რაღაცა ჩუმი ბრძოლა სწარმოებდა აფრასიონში. ბოლოს კი თვალსაჩინო და მკაცრი მიმართულება მიიღო მისმა ცვლილებამ. ასე გამოაშუქლანა ერთხელ აფრასიონმა თვისი გულის ნადები, რამაც მის ღედას გულში ძრიელ ჩაჰკინა: „მამი ჩემი ჯვარ-მენდლები ხომ იმას ჰმოწმობენ, რომ ხალხი უელეტნია და მამასადამე იგი „სახელოანი“ კი არა — საზიზღარი და ყველასაგან ვასაკიცხი უნდა იყოს“.

ამის შემდეგ ბევრჯელ შელაპარაკებულან მამა-შვილი ჯილდოების მნიშვნელობაზედ და ლაპარაკსაც მიუღია ცხარე მიმართულება. წარბ-შეუბრელად უმტკიცებდა აფრასიონი მამას:

— აღამიანების სისხლის ღვრისა და შათი ხოცვის გულისათვის მიღებული ჯვარ-მენდლებით კაცის თირსება იარ სადამე ტყუილად გაქვს დაჩემებული სახელოანობა და ის პატივიც, რომელსაც შენ ახლა იმკი, შენ მიერ დაუშვასაბურებელი არისო.

ჯვარ-მენდლების ცუდად ხსენება და შათი უმნიშვნელობის მტკიცება უკიდურესი შეურაცყოფა იყო აპალონისათვის და ამისთვის მწარე ნაღვლით აღსაყვებ უპასუხებდა შვილს:

— გეშინოდეს ღვთისა და გრცხვენოდეს სვიდისისა, რომ მაგრე მიუპატიურებ მას, რამაც მე კაცად გამხდა მთელი ქვეყნიერობის თვალში! ძე ხორციელს არ მოუყენებია ჯერ ჩემთვის ისეთი დიდი შეურაცყოფა, როგორც მესმის შენგან — ჩემი ნაშობი ძისაგან!

* * *

აფრასიონში მომხდარი ცვლილება გარეშეტაც არ დარჩათ შეუმჩნეველი და ყველა თავისებურად ჰხსნიდა ამ ცვლილებას.

ზოგნი ფიქრობდნენ ვითომც აფრასიონს ჰშურდა მამის „სახელოანობა“, სიმშურნე ველარ შეიკავა და განიზრახა გაებათილებინა იგი „სახელოანობა“ მისი პატივისმცემელთა თვალში. მაგრამ ეს მგონია უბრალო და უსაფუძვლო ჭორი უნდა ყოფილიყო აპალონის ხნოვან პირთაგან გავრცელებული.

ბევრი იმასაც გაიძახოდა, რომ აღარ სწარმოებდა იმინობა, როდესაც ჯილდოებს ეძლევათ სათანადო მნიშვნელობა და აფრასიონში მომხდარი ცვლილებასაც ამისი ბრალიაო. მხოლოდ ეს მოსაზრებაც კი საეჭვო უნდა

იყოს. უქველი მიზეზი აფრასიონის მიერ ჯვარ-მენდლების შეტულებისა უთუოდ სხვა გარემოებათა შორის უნდა ვეძებოთ და კიდევ ვიპოვიოთ, თუ გავიხსენებთ, რომ აფრასიონის დავაჯაკების დროს სულ სხვა ნიავმა დაჰბერა: „ახლა აღამიანების ულტის დრო კი აღარ არის — დადგა ხანა და ჩაგრულთა განთავისუფლებისა და მფარველობისაო“, შემოჰსმენოდა სადღაც აფრასიონს.

ცათა ფრინვას მოეკიდა აფრასიონი, როდესაც თავის ამხანაგებში თანამოაზრენი აღმოუჩნდნენ.

— რას ჰნიშნავს, რომ მამაშენი სულ ჯვარ-მენდლებით დაიარება? — შეეკითხნენ მას ამხანაგები — ეგ ხომ უკულტურობის ნიშანია! რატომ არ დაუშლი, რომ აღარ ატარებდეს? როგორ გეკადრება შენ მაგისთანა პროგრესს ჩამორჩენილი მამა გყვანდესო!

ძლიერ იამა აფრასიონს თვის ამხანაგებში თანამოაზრეთა აღმოჩენა. მაგრამ თანაც ყურებამდის გაწითლდა. ხოლო ამ გაწითლებამ უფრო ბრაზი მოჰგვარა მას, რადგანაც ამხანაგთა წინაშე გამოემყდნენ, რომ მასში კიდევ მოიპოვებოდა ნატამალი სირცხვილისა, რომელიც ახალ ხანაში ცხოლოდ უკულტუროთა კუთვნილებას შეადგენდა და შესაძლებელი იყო ამაზედაც საყვედური მიეღო ამხანაგებისაგან.

რაღა ჩიჩინი უნდოდა, სასტიკი ომი გამოუცხადა ამის შემდეგ მამას. ახლა პირდაპირ ძალას ატანდა მას მოეხსნა სამუდამოდ გულიდგან ჯვარ-მენდლები. მამა კი უპასუხებდა ყოველ მოთხოვნილსა იმის ჯვარ-მენდლებსაო.

IV

მაშინ, როდესაც ასე გაცხარებული ებრძოდა აფრასიონი მამას ჯილდოების შესახებ, თვით იგი მამაზედ არა ნაკლებ, თუ არ მომეტებულად, იყო გატაცებული „სახელოანობის“ წყურვილით. ეს წყურვილი თითქმის არ ასვენებდა მას და გაფაციკვებით დაეძებდა იგი სხვა გზას, ასე ვთქვათ, კულტურულ საშუალებას „სახელოანობის“ მოსაპოვებლად.

ბევრი ფიქრისა და ბჭობის შემდეგ გატასწყვიტა აფრასიონმა შეუდგეს არტისტობას.

როცა გაკვირვებულმა ამხანაგებმა ჰკითხეს, თუ რამ მიიყვანა იგი ამისთანა გადაწყვეტილებამდის, მან ასე უპასუხა:

— ყველაზედ სასარგებლო და ნაყოფიერი კაცისათვის არტისტობა არის. ისე ადრე და ადვილად არაფრით შეუძლიან კაცს მოიპოვოს სახელი, როგორც არტისტობით. წარმოიდგინე, რომ შენ მწერალი ხარ და ამასთანავე მსახიობი კი არა ხარ; რაც უნდა შესანიშნავი დრამატიული ანუ სხვა დარგის ნაწარმოები შეჰქმნა, მაინც ყოველთვის კუთხეში იქნები მიგდებული, ცნობით ფართე საზოგადოება, ერთი ორის მეტი, შენ ვერ გიცნებს. მით უფრო არავის მოაგონდები იუბილეს გადახდისათვის, თუნდაც ორმოცდა ათი წელიწადი იშრომო ნაყოფიერად. მაგრამ თუ შენ მარტოდ-მარტო მსახიობი ხარ და სხვა არაფერი, სხვისა ნაწარმოებს საზოგადოებას ხელოვნურად წარმოუდგენ, ყველა შენ გაგიცნობს, ყველას შენ ეხსომები, ყველა ვაშას შენ გეძახის და და ტაშს შენ გეკრავს და ხუთი წლის თუ არა — ათის, ხუთმეტის, ოცის და მასთან მიყოლებულ იუბილეს შენ გიხდინ დიდის ზარითა და ზემით, ბენეფისებს ხომ რაღა თქმა უნდა. შენი სახელით გაზეთების აჭრელებაც მეტი. აი რა ძვირფასია კაცისათვის არტისტობა.

ხოლო აღმოჩნდა, რომ სახელისა და სარგებლის სურვილის გარდა, თურმე განსაკუთრებული ნიჭიც იყო საჭირო სხვისი ნაწარმოების ხელოვნურად წარმოდგენისათვის და ამის მიზეზით აფრასიონმა „ნომერი ვერ გაიყვანა“, როგორც მისივე გულითადი ამხანაგ-მეგობრები მოწმობდნენ. — კი არავინ იფიქროს, რომ ამხანაგებს უხაროდათ აფრასიონის მარტბი. რა ბრძანებაა?! მხოლოდ თვისდა სასიამოვნოდ ამბობდნენ ამას.

* * *

მაინც ბედმა არ უღალატა სამუდამოდ აფრასიონს და გულიანად გაუღიმა: დაჰხადა ერთი მცირედი რამ გარემოება, რომელმაც წარმოშობა თავის მხრით დიადი სამოღვაწეო ასპარეზი. ამ ასპარეზმა თავისთავად მრავალი ყმაწვილ-კაცობა, რომელთაგანაც ბევრს არც კი ჰქონია გარკვეული გზა და მიზანი ცხოვრებისა გადაჰქმნა და შესძინა სამშობლოს არა მცირედი რიცხოვანი დასები თვალსაჩინო მოღვაწეებისა. ეს კია, რომ აფრასიონმა სათანადოდ ვერ მიადგინა თავისი უმელობა, თუმცა არც უსარგებლოდ ჩაუვლია მისთვის.

„მცირედი რამ გარემოება, რომელმაც წარმოშობა თავის მხრით დიადი სამოღვაწეო ასპარეზი“, ასეთი იყო.

ერთ გაზეთში ვინმე კორესპონდენტმა მოათავსა სოფლის მოძღვარსა და გლეხი ივანეს შორის გავიწილი საუბარი. მოგვყავს სიტყვა-სიტყვით ეს საუბარი.

— მორთმევით კი მოგართმევ, მამაო ღვდელო, შენ საწესოს, მეტი რა ჩარა მაქვს, ეუბნებოდა ივანე თავის

მოძღვარს, როცა ეს უკანასკნელი პირველის კალოზედ პურს აწყვევინებდა, მაგრამ ე ჩემ გოგობიჭობას რაღა ვუყო? რით ვაცხოვრო ცოლ-შვილი, რომ აღარაფერი მრჩება?

— ღმერთი მოგცემს, ჩემო ივანე, ღმერთი! უპასუხებდა მოძღვარი. ნუ გეშინიან, თავის მოწყალებას არ მოგაკლებს ყოველად მოწყალე.

— ღმერთი მაძლევს მამაო ღვდელო! განი არ მაძლევს რა? და არც მომდურავი ვარ მე ღვთისა, მაგრამ კაცი რომ არ მარჩენს ღვთის მოცემულს! განა თავზედ საყრელად არ ეყოფოდით ჩემ ცოლ-შვილს, რაც წელს მე სარჩო მომცა ღმერთმა, რომ მევე მრჩებოდეს? გავიხაროდა ჩემი ცოლ-შვილი გაიხარებდა! მაგრამ აი შენ უნდა მოგართვა შენი საწესო, ცალკე ათასნაირი გადასახადები უნდა გავისტუმრო, რაც ამას გადარჩება — ის კიდევ არზუშანასაც არ ამოუვალაში. აბა, რა გქნა, რა წყალში ჩავარდე? რითი ღა უნდა ვასაზრდოვო ცოლ-შვილი მთელი წლის განმავლობაში? ნეტა ვიცოდე, ამოგვივა როდისმე მზე ე გლეხ-კაცობას, თუ ასე მზე დღეში უნდა დავლიოთ წუთისოფელი? ერთი ისეთი მისანი არავინ გამოჩნდა, რომ ეს გაგვიგონ ჩვენ ბედ-შავებს და თუ არაფერი გვეშველება როდისმე, იმედი მაინც ნულა გვექნება ჩვენი მასკვლავისა.

— აბა კიდევ ევა გლუპავთ, ჩემო ივანე, გლეხ-კაცობას და გიღვეთ ბარაქას, რომ მკითხავებსა და მისნებს დაეძებთ, მათთან დარბიხართ და მოგაძლევთ შვილს.

— მა რა გქნათ, შე დალოცვილო, რომ სხვა მშველელი და გულშემატკივარი არავინა გყავს?

— რა ჰქნათ და ღმერთს უნდა ევედრნეთ, — იგი არს მხოლოდ მშველელი ჩვენი!

— აკი ვევედრებით იმ დალოცვილს!..

— ევედრებით, მაგრამ მკითხავ-მისნებთან რომ დარბიხართ — ეს დიდი ცოდვა არის და ღმერთი როდი მოგიწონებთ და გაპატივებთ ამას“.

მელანია.

(შემდეგი იქნება)



ვა, ვა, ვა! ერთი ამ ჩვენს ცოლებს უყურეთ! სწორედ მაშინ ჩაიცივს განიერი კაბა, როცა ყველაფერს სიძვირისგან ცეცხლი ეკიდება!